186
1976

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი—აპრილი

1976 წ.

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1976 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

15. რესპუბლიკური მეცეტრუსეობის საწარმოო გაერთიანების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 2 აპრილის № 216 და 1960 წლის 8 იანვრის № 8 დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
17. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული პენსიების დამნიშვნელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.
18. ქუთაისის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის გაუქმების შესახებ
19. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველოსა და რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მისი ქვედანაყოფების შექმნის შესახებ
20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 თებერვლის № 87 დადგენილების მოქმედების ვადის 1976 წლისათვის გაგრძელების შესახებ
21. 1976-1980 წლებში საქართველოს სსრ ქალაქებში მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის შესახებ

ბიბლიოთეკა

22. ე. დ. ახვლედიანის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
23. „საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 აპრილის № 272 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების თაობაზე.
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 ოქტომბრის № 581 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს დებულების დამატების შესახებ.
25. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ
26. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) დებულების დამტკიცების შესახებ
27. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ი. ჯანელიძის სახელის მინიჭების შესახებ
28. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტისათვის აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ
30. საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელის დამტკიცების შესახებ
31. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წ. 12 მარტის № 173 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
32. მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

15 რესპუბლიკური მეცხოველეობის საწარმოო გაერთიანების შექმნის შესახებ

რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და სპეციალიზაციის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. გამოეყოს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტს ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობები 1976 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დანართის თანახმად.

2. შეიქმნას ციტრუსების, ტუნგისა და დაფნის საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე რესპუბლიკური მეცხოველეობის საწარმოო გაერთიანება ადგილსამყოფელით ქ. ფოთში და დაექვემდებაროს იგი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

3. დაევალოთ საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტსა და ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მისცენ რესპუბლიკურ მეცხოველეობის საწარმოო გაერთიანებას ადმინისტრაციული შენობა და გაუწიონ ყოველგვარი დახმარება მისი ორგანიზაციის პერიოდში.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

— ხუთი დღის ვადაში დაამტკიცოს რესპუბლიკური მეცხოველეობის საწარმოო გაერთიანების სტრუქტურა, საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის დაწესებული ამ გაერთიანების მმართველობის აპარატის საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში;

— დააკომპლექტოს გაერთიანება მაღალკვალიფიციური კადრებით, ამასთან უზრუნველყოს იგი საჭირო რაოდენობის ტრანსპორტით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1976 წლის 20 აპრილი, №335

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 20 აპრილის № 335 დადგენილების დანართი

ს ი ა

საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც გადაეცემა რესპუბლიკური მეციტრუსეობის საწარმოო გაერთიანების დაქვემდებარებაში

ხელვაჩაურის რაიონი

1. ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
2. მახვილაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
3. გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
4. მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
5. თხილნარის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

ქობულეთის რაიონი

6. ჩაქვის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
7. ალამბარის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
8. მუხაესტატის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
9. კვირიკეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
10. ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

გალის რაიონი

11. კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
12. მზიურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
13. მეგობრობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
14. წარჩის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
15. პირველი გალის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
16. ბედიის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

ოჩამჩირის რაიონი

17. ჯალის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
18. აგუბედიის ტუნგის საბჭოთა მეურნეობა

გულრიფშის რაიონი

19. ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
20. კელასურის მექანიკური სახელოსნო

სოხუმის რაიონი

21. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „აფსნი“
22. ეშერის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
23. ზემო ეშერის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

გუდაუთის რაიონი

24. ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

ქ. გაგრა

25. გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
26. სიხარულის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

მახარაძის რაიონი

27. ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

ლანჩხუთის რაიონი

28. ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
29. ნიგოითის სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა

ზუგდიდის რაიონი

30. აბასთუმნის ტუნგის საბჭოთა მეურნეობა

ცხაკაიას რაიონი

31. ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობა
32. ახალი სენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობა
33. შხეფის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

ხობის რაიონი

34. ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა
35. ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

ჩხოროწყუს რაიონი

36. ჭოლა-ნაკიანის ტუნგის საბჭოთა მეურნეობა

გეგეჭკორის რაიონი

37. გეგეჭკორის ტუნგის საბჭოთა მეურნეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

16 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 2 აპრილის № 216 და 1960 წლის 8 იანვრის № 8 დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1971 წლის 31 დეკემბრის № 103 ბრძანებით სკოლამდელ დაწესებულებათა ტიპობრივი შტატების დამტკიცების გამო ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 2 აპრილის № 216 დადგენილება „საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საბავშვო ბაღების ადმინისტრაციულ-პედაგოგიური და მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 იანვრის № 8 დადგენილება „ბაგა-ბაღების ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სამედიცინო და მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 4. 1 მარტი, № 155

17 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული პენსიების დამნიშვნელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული პენსიების დამნიშვნელი კომისიის თანდართული დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 3 მარტი, № 168.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 3 მარტის № 168
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული პენსიების დამნიშვნელი კომისიის შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. სახელმწიფო პენსიების კანონის მე-5 მუხლისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 აგვისტოს № 590 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულების 153-ე პუნქტის შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან იქმნება პენსიების დამნიშვნელი კომისია.

2. პენსიების დამნიშვნელი კომისია იქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შემდეგი შემადგენლობით: სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (საქალაქო) განყოფილების გამგე (კომისიის თავმჯდომარე), რაიონული (საქალაქო) საფინანსო განყოფილების გამგე და პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელი, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის პენსიის დანიშვნისას კომისიის შემადგენლობაში შედის აგრეთვე რაიონული (საქალაქო) სამხედრო კომისარი.

3. პენსიების დამნიშვნელი კომისიის ამოცანებია: პენსიების სწორი და დროული დანიშვნა, მოქალაქეთათვის დახმარების აღმოჩენა პენსიის დანიშვნისათვის საჭირო საბუთების მიღების საქმეში; პროფკავშირების საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების პენსიის საკითხების კომისიებისათვის დახმარება მათი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში; სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების საქმიანობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის შემდგომი გაფართოებისათვის ხელისშეწყობა.

4. პენსიების დამნიშვნელი კომისიის სხდომები ტარდება სამუშაო საათებში. კომისიის წევრების შრომის ანაზღაურება კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის ხდება არსებული წესების მიხედვით.

5. პენსიების დამნიშვნელი კომისია თავის მუშაობას ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიებთან და პროფკავშირების საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების საპენსიო საკითხების კომისიებთან მჭიდრო კავშირით. თავისი ამოცანების შესრულების საქმეში ფართოდ იყენებს აგრეთვე აქტივს მუშების, მოსამსახურეებისა და პენსიონერების რიცხვიდან.

6. პენსიების დამნიშვნელი კომისიის მუშაობის შემოწმებას და მისი საქმიანობის კონტროლს ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი.

კომისია რეგულარულად აბარებს ანგარიშს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიას, თავისი საქმიანობის შესახებ მოახსენებს აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშათა და მოსამსახურეთა კრებებს.

პენსიების დამნიშვნელი კომისიის უფლება-მოვალეობანი

7. პენსიების დამნიშვნელი კომისია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, კანონით სახელმწიფო პენსიების შესახებ, დებულებით სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებით და განმარტებებით, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ბრძანებებით და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

8. პენსიების დამნიშვნელი კომისიის სხდომაზე ყველა წევრი ყოველგვარი საკითხის გადაწყვეტისას სარგებლობს თანაბარი უფლებით.

9. პენსიების დამნიშვნელი კომისიის სხდომები უფლებამოსილია თუ მათში მონაწილეობდა კომისიის ყველა წევრი.

10. პენსიების დამნიშვნელი კომისია იხილავს:

ა) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წარდგინებებს და მშრომელთა განცხადებებს პენსიის დანიშვნის შესახებ;

ბ) მშრომელთა განცხადებებს ერთი სახის პენსიიდან მეორეზე გადაყვანის შესახებ;

გ) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მშრომელთა თხოვნით მოწმეების ჩვენებით დანაკლისი შრომის სტაჟის დადგენის საკითხს.

11. ამ დებულების მე-10 პუნქტში აღნიშნულ წარდგინებებს და განცხადებებს პენსიების დამნიშვნელი კომისია იხილავს 10 დღის ვადაში წარდგინების თუ განცხადების მიღებიდან ყველა საჭირო დოკუმენტებთან ერთად, ან დამატებითი დოკუმენტების წარდგენის დღიდან.

12. პენსიის უკანონოდ დანიშვნის შემთხვევის გამოვლინებისას პენსიების დამნიშვნელ კომისიას გამოაქვს გადაწყვეტილება პენსიის გაცემის შეწყვეტის შესახებ.

13. პენსიების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილებით წარმოებს პენსიიდან დაკავება, რაც ზედმეტად აქვს მიღებული პენსიონერს მის მიერ ჩადენილი უკანონო მოქმედების შედეგად (მაგალითად, იმის გამო, რომ წარადგინა არასწორი ცნობები, არ წარადგინა ცნობები გამომუშავების ან სხვა შემოსავლის, აგრეთვე ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ) იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულების 178-ე პუნქტით.

14. პენსიების დამნიშვნელი კომისია ადგენს განმცხადებლის უფლებაა პენსიის მიღებაზე წარმოდგენილი საბუთების ყოველმხრივი, მთლიანი და ობიექტური განხილვის საფუძველზე.

პენსიების დამნიშვნელი კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს ადგილზე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში პენსიის დასანიშნად წარმოდგენილი საბუთების სისწორე.

15. პენსიების დამნიშვნელი კომისია მის განკარგულებაში არსებული მასალების საფუძველზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს საკითხს არსებობის საშუალებათა წყაროს უქონლობის შესახებ, როდესაც ეს ერთადერთი პირობაა პენსიის დანიშვნისათვის.

16. ყოველ განხილულ წარდგინებასა და განცხადებაზე პენსიის დანიშვნის შესახებ კომისიას გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელშიც აღინიშნება ის პირი, ვისაც ენიშნება პენსია, დანიშნული პენსიის სახეობა, თარიღი, საიდანაც დანიშნულია პენსია, და მისი ოდენობა (დაწესებული დანამატებით კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში).

პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში კომისიას გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნავს უარის მოტივებს და განმარტავს გასაჩივრების წესს.

17. პენსიების დამნიშვნელ კომისიას გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება, როდესაც დაინტერესებული პირი არ ეთანხმება სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის გადაწყვეტილებას პენსიის გადაანგარიშების ან გაცემის საკითხებზე.

18. პენსიების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ხმის უმრავლესობით და ფორმდება კომისიის ყველა წევრის ხელის მოწერით.

თუ კომისიის წევრი არ ეთანხმება ხმის უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას, ის უფლებამოსილია თავისი განსაკუთრებული აზრი ჩამოაყალიბოს წერილობით, რომელიც დაერთვება ოქმს, რის შესახებაც კომისიის თავმჯდომარე საქმის კურსში ჩააყენებს რაისაბჭოს (საქალაქო საბჭოს) აღმასკომს.

19. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. საჭიროების შემთხვევაში აღმასკომის დავალებით კომისია განმეორებით იხილავს ყველა მასალებს და გამოაქვს გადაწყვეტილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პენსიების დამნიშვნელი კომისიის მუშაობის წესები

20. პენსიების დამნიშვნელი კომისიის სხდომისათვის საპენსიო საქმეებს ამზადებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება.

კომისიის დავალებით სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება ამოწმებს საბუთებს და პენსიის დანიშვნისათვის საჭირო გარემოებებს, აგრეთვე გამოითხოვს დამატებით საბუთებს საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და ცალკეული პირებისაგან.

ა. ბაბუშის. სახ. საქ. სახ. სახელმწიფო რესპუბლიკა. ბიბლიოთეკა

21. პენსიების დამნიშვნელი კომისია თავის სხდომებს ატარებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით.

22. პენსიების დამნიშვნელი კომისია თავის მუშაობაში ჩააბამს პროფკავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების პენსიის საკითხების კომისიის წევრებს, აქტივს მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვიდან და პენსიონერებს, ხოლო საჭირო შემთხვევებში მიმართავს კონსულტაციისათვის სათანადო სპეციალისტებს.

23. როდესაც არსებობს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების წინასწარი დასკვნა, რომ განმცხადებელს არა აქვს უფლება პენსიაზე, აგრეთვე სხვა აუცილებელ შემთხვევებში განყოფილება განმცხადებელს მოიწვევს კომისიის სხდომაზე დასასწრებლად, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს მისი თანდასწრებით.

თუ განმცხადებელს არ შეუძლია დაესწროს კომისიის სხდომას, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში აცნობებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას ან განმცხადებელს კომისიის გადაწყვეტილებას, ხოლო პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში უგზავნის კომისიის ოქმის ამონაწერს, უბრუნებს ყველა დოკუმენტს და განუმარტავს გასაჩივრების წესს.

24. კომისიის მუშაობაში საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობისა და პენსიების დანიშვნისადმი კონტროლის გაწევისათვის პენსიების დამნიშვნელი კომისია თავის სხდომებს პერიოდულად ატარებს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და წინასწარ აცნობებს განმცხადებელსა და საზოგადოებრიობას სხდომის ჩატარების ადგილსა და დროს.

25. პენსიების დამნიშვნელი კომისია ადგენს ოქმებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით.

---

18 ქუთაისის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო სამეურნეო-წარმოების შემდგომი განვითარების, დარგთაშორისი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მიზნით გაუქმდეს 1976 წლის 1 აპრილიდან ქუთაისის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ქუთაისის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სისტემის საბჭოთა მეურნეობები გადაანაწილოს სპეციალიზაციის მიხედვით შესაბამის გაერთიანებებსა და ტრესტებს შორის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 18 მარტი, № 191

19 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველოსა და რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მისი ქვედანაყოფების შექმნის შესახებ

რესპუბლიკის მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში მოძველებული ტრადიციების წინააღმდეგ საბრძოლველად და ახალი წესჩვეულებებისა და რიტუალების დანერგვისათვის მუშაობის მიზანდასახული და კვალიფიციური ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველო 50 ერთეულის შტატით და 5,9 ათასი მანეთი ხელფასის თვიური ფონდით.

საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველო შეიქმნას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსათვის 1976 წელს დაწესებული მმართველობის აპარატის რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და მისი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

2. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ:

ა) უზრუნველყოს, რომ შეიქმნას მიმდინარე წლის 1 ივლისამდე ქ. თბილისში საზეიმო მომსახურების კომბინატი, სამოქალაქო მომსახურების კომბი-

ნატი, მწვანე მეურნეობის საწარმოები (ორანჟერეები) ავტომეურნეობებითურთ კომბინატებთან და ქ. სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში — საზეიმო მომსახურების კომბინატები და სამოქალაქო მომსახურების კომბინატი, ხოლო 1976 წლის ბოლომდე — საწესჩვეულებო მომსახურების საწარმოები დანარჩენ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში;

ბ) წარმოადგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული მმართველობის აპარატის დამატებითი რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და მისი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ლიმიტი, რაც საჭიროა ამ დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად შესაქმნელი საწესჩვეულებო მომსახურების კომბინატების, მეურნეობებისა და საწარმოებისათვის;

გ) საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველოების, კანტორებისა და ბიუროების საშტატო განრიგების პროექტის შემუშავებისას გაითვალისწინოს, რომ საჭიროა შესრულდეს მოსახლეობის შეკვეთები სათანადო დოკუმენტების გასაფორმებლად და შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად (გარდაცვალების ცნობების გაფორმება, ნაკვეთების გამოყოფა სასაფლაოებზე, საფლავების მომზადება, საფლავების გაფორმება და ა. შ.).

3. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა გადასცენ ბალანსიდან ბალანსზე მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ბოლომდე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველოს თავიანთ გამგებლობაში არსებული ქორწინების სახლები მათთვის 1976 წელს დამტკიცებული შრომის გეგმებითა და მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრული ასიგნებებითურთ.

4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ გამოყონ ნომრები სასტუმროებში, რკინიგზისა და თვითმფრინავის ბილეთები საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველოს განაცხადების მიხედვით.

5. საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ მისცენ, მოყოლებული 1976 წლიდან, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საჭირო მაღალხარისხოვანი სამამულო და იმპორტული მასალები, საკომპლექტებელი და გასაწყობი ნაწარმი საწესჩვეულებო ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სუვენირებისა და მოსახლეობის შეკვეთით სხვა ნაკეთობათა დასამზადებლად, სამინისტროსათვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში და სამინისტროს მიერ წარდგენილი სპეციფიკაციის მიხედვით.

6. საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ ყოველწლიურად გამოყოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს განაცხადების მიხედვით მასალები საფლავების მოსაპირკეთებლად და მოსაწყობად და მოსახლეობის სამოქალაქო მომსახურებისათვის საჭირო სხვა საგნები.

7. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ყოველწლიურად, მოყოლებული 1977 წლიდან, გაითვალისწინონ წლიური გეგმების პროექტებში კაპიტალური დაბანდებანი ქ. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, აგრეთვე რესპუბლიკის მსხვილ დასახლებულ პუნქტებში სპეციალური საწესჩვეულებო შენობა-ნაგებობების (ქორწინების სახლების, სამგლოვიარო სახლებისა და ა. შ.) დაპროექტებისა და მშენებლობისათვის.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა აღნიშნული ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემამდე გამოუყონ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შესაბამისი სადგომები საწესჩვეულებო მომსახურების სამსახურების მოსათავსებლად.

8. საფლავები გაფორმდეს საქართველოს სსრ სახმშენის მიერ მიღებული ესკიზებისა და ნორმების შესაბამისად.

9. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველოს მოსათავსებლად შესაბამისი სადგომის გამოყოფის შესახებ.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, ცეკავშირის გამგეობის კადრების მომზადებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმებში ამ სამინისტროებისა და უწყებების მიერ დასახული წინადადებანი სპეციალური კადრების მომზადებისა და გადამზადების და სოციალისტური ტრადიციების დანერგვისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 22 მარტი, № 196

20 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 თებერვლის № 87 დადგენილების მოქმედების ვადის 1976 წლისათვის გაგრძელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

გაგრძელდეს 1976 წლისათვის მოქმედების ვადა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 თებერვლის № 87 დადგენილებისა „იმის შესახებ, რომ განთავისუფლდნენ 1967 წელს საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და რომ შემკვეთებმა გადასცენ საცხოვრებელი ფართობი საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 24 მარტი № 205.

21 1976-1980 წლებში საქართველოს სსრ ქალაქებში მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოთ ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ფოთის, გორის, ბორჯომისა და გაგრის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ 1976-1980 წლებში 6-9 სართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტება და მშენებლობა ამ ქალაქების გენერალური გეგმებით გათვალისწინებულ ადგილებში, დეტალური დაგეგმარების პროექტებისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად.

რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებში 6-9 სართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტება და მშენებლობა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით საქართველოს სსრ სახმშენისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დასკვნების საფუძველზე.

2. დაწესდეს, რომ 9 სართულზე მაღალი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტება და მშენებლობა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დაიშვება განსაზღვრული მოცულობით იქ, სადაც ეს გათვალისწინებულია ქალაქების გენერალური გეგმებითა და დეტალური დაგეგმარების პროექტებით, როცა მაღლივი მშენებლობა გამართლებულია ქა-

ლაქთმშენებლობის მოთხოვნებით და დადასტურებულია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებებით, — ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით საქართველოს სსრ სახმშენისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დასკვნის საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 25 მარტი, № 207

22 ე. დ. ახვლედიანის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი საბჭოთა მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ელენე დიმიტრის ასული ახვლედიანის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. **შეიქმნას** ე. ახვლედიანის ყოფილ ბინაში (ლ. ქიაჩელის ქუჩა № 12) **სახლ-მუზეუმი — საქართველოს** ხელოვნების **სახელმწიფო** მუზეუმის **ფილიალი.**

2. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატებისს საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) გაათავისუფლოს ე. ახვლედიანის ბინაში ჯ. ჩხაიძის ოჯახის მიერ დაკავებული 17 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახი და გადასცეს იგი **მხატვრის** ყოფილ ბინასთან ერთად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს სახლ-მუზეუმის მოსაწყობად.

ბ) დადგას ე. ახვლედიანის ბიუსტი განსვენებულის საფლავზე დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში;

გ) მიაკუთვნოს ე. ახვლედიანის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

3. მიაკუთვნოს ე. ახვლედიანის სახელი თელავის საშხატვრო სასწავლებელს.

4. დაარსდეს ე. ახვლედიანის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტისათვის და ერთი — თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ფრიადოსანი სტუდენტისათვის, მათთვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდების ფარგლებში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გამოსცეს ე. ახვლედიანის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მონოგრაფია.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გაითვალისწინონ ე. ახვლედიანის სახლ-მუზეუმის მოწყობისათვის საჭირო ასიგნე-

ბანი და საშტატო ერთეულები, დანართის თანახმად, მათ შორის 20 ათასი მანეთი — ე. ახვლედიანის ნაწარმოებთა შესაძენად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წლის 30 მარტი, № 229

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 30 მარტის № 229
დადგენილების დანართი

ე. ახვლედიანის სახლ-მუზეუმის — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფილიალის საშტატო განრიგი

თანამდებობა	ერთეულების რაოდენობა	თვიური ხელფასი (მან.)
ფილიალის გამგე	1	150
ფონდების მთავარი მცველი	1	130
ზედამხედველი	1	80
დამლაგებელი	1	60
სულ:	4	420 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

23 „საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 აპრილის № 272 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების თაობაზე

„საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 აპრილის № 272 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აღნიშნული დადგენილების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აეკრძალოს ყველა სამინისტროსა და ორგანიზაციას 1976 წლის 1 იანვრიდან ქვიშისა და ხრეშის მოპოვება:

ა) შავი ზღვის სანაპიროს ყველა უბანზე, ე. ი. პლაჟებიდან და წყალქვეშა სანაპირო ფერდობებიდან, წყურგილის მექანიზებული კარიერის, მდინარე რიონის დელტისა და მიუსერის კონგლომერატების საბადოს გარდა;

ბ) შავი ზღვის აუზის მდინარეებისა და მათი შენაკადების ყველა კალაპოტიდან და სატბორი ნარწყული ტერასებიდან, გარდა წყალდიდობის წყლებით დაუტბორავი ტერასებისა, რომლებიც არ მონაწილეობენ მდინარეთა მყარი ჩანადენისა და პლაჟწარმონაქმნების ფორმირებაში, და მდინარე ჭოროხის მექანიზებული კარიერისა, სადაც ნებადართულია ხრეშ-ქვიშის მასალების დამუშავება“.

2. დაემატოს აღნიშნულ დადგენილებას შემდეგი შინაარსის პუნქტები:

„11. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს იმ შემთხვევებში, როცა საჭირო არ არის მიწის ნაკვეთების გამოყოფის გაფორმება დადგენილი წესით, ნება დაერთოს საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს დასკვნების საფუძველზე რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს დაამუშაონ ხრეშ-ქვიშის მასალები დაუზვერავ საბადოთა უბნებზე, რომლებიც განლაგებულია შავი ზღვის აუზის მდინარეებისა და მათი შენაკადების დაუტბორავ ნარწყულებში და კუნძულებზე, რომლებიც არ მონაწილეობენ პლაჟწარმოქმნელი მყარი ჩანადენის ფორმირებაში.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში ნებართვა ინერტული საშენი მასალების საბადოთა დასამუშავებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით უნდა გაიცეს იმ პირობით, თუ საბადოს მარაგი დაზვერილი და დამტკიცებულია, და დადგენილი წესით მიწების გამოყოფის შემდეგ“.

„12. ნება დაერთოთ განსაკუთრებულ განკარგულებამდე საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს — განაგრძოს, ხოლო საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს — განახორციელოს ქვიშის საბადოს დამუშავება მდინარე რიონის კუნძულებსა და კალაპოტში რკინიგზის სადგურ საჯავახოსთან“.

„13. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს განაგრძოს ქვიშისა და ხრეშის მოპოვება მდინარე ნატანების ტერასებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 3 აგვისტოს № 414 დადგენილებით გამოყოფილ ტერიტორიაზე“.

„14. ნება დაერთოს ყველა სამინისტროსა და ორგანიზაციას აწარმოონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით ინერტული საშენი მასალების მოპოვება მდინარე რიონისა და მისი შენაკადების კალაპოტებში და მოქმედ ნარწყულ ტერასებზე რიონჰესის კაშხალის ზემოთ და ცხაკაია-ფოთის რკინიგზის ხიდის ქვემოთ შესართავამდე, აგრეთვე მდინარე ენგურისა და მისი შენაკადების კალაპოტებში და ტერასებზე ენგურჰესის მაღლივი კაშხალის ზემოთ და მდინარე ცხენისწყალზე საირიგაციო კაშხალის ზემოთ წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯთან“.

„15. დაევალოს „ჰიდროპროექტის“ ინსტიტუტის თბილისის განყოფილებას ერთი თვის ვადაში დააზუსტოს ვარციხჰესის მშენებარე კასკადის სადერივაციო არხების ტრანშეებში დამუშავებული იმ ნაყარი გრუნტის მოცულობა და გრანულომეტრიული შედგენილობა, რომელიც არ გამოიყენება აღნიშნული ობიექტის მშენებლობისათვის, ხოლო საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი დაინტერესებულ სამინისტროებსა და ორგანიზაციებს შორის მისი განაწილების შესახებ“.

„16. ინერტული საშენი მასალების ორგანიზებული კარიერების შექმნის მიზნით დაევალოთ დაინტერესებულ სამინისტროებსა და ორგანიზაციებს ორი თვის ვადაში დაუდონ საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს ხელშეკრულებანი შავი ზღვის აუზის მდინარეთა ტერასებზე, აგრეთვე სხვა მთიან მასივებზე ინერტული საშენი მასალების საბადოთა დასაზვერად, ამასთან წინასწარ შეუთანხმონ საკითხი მიწათმოსარგებლეებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს“.

„17. დაევალოს საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს სამინისტროებთან და ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით დაზვეროს 1976-1977 წლებში საბადოები და დაამტკიცოს ინერტული საშენი მასალების მარაგი შავი ზღვის აუზის მდინარეთა ტერასებზე და სხვა მთიან მასივებზე“.

„18. მდინარე ენგურის ჩანადენის მდინარე ერისწყლის აუზში გადაშვებასთან და ენგურჰესის კაშხალიდან სოფელ ანაკლიამდე მდინარე ენგურის ბუნებრივი რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს (მოწვევა), საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს, „ჰიდროპროექტის“ ინსტიტუტის თბილისის განყოფილებასა და „კავტრანსსახპროექტის“ ინსტიტუტს სხვა დაინტერესებული სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით შეისწავლონ საკი-

თხი, შესაძლებელია თუ არა ინერტული საშენი მასალების მოპოვების საკარიერო მეურნეობათა შექმნა მდინარე ენგურის კალაპოტში და ნარწყულებში ენგურჰესის კაშხალიდან ქვემოთ დინების მიხედვით შესართავამდე, და წარმოუდგინონ შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისამდე.

აღნიშნული საკითხების საბოლოო გადაწყვეტამდე ნება დაერთოთ სამინისტროებსა და ორგანიზაციებს ამოიღონ მდინარე ენგურის ცალკეულ უბნებზე ინერტული საშენი მასალები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ნებართვით".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წლის 5 აპრილი, № 243

24 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 ოქტომბრის № 581 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს დებულების დამატების შესახებ

1333

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 ოქტომბრის № 541 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველოს დებულებას შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღებაში" იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მთავარი სამმართველოს უფროსი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს საქვეუწყებო ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების ძირითად საკითხებს, დიდმნიშვნელოვან ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, ისმენს მთავარი სამმართველოს განყოფილებების, სამმართველოების, კანტორების, ნავთობბაზებისა და საქნავთობმომარაგებაგასაღების სისტემის სხვა ორგანიზაციების მოხსენებებსა და ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებებით, კოლეგიის თავმჯდომარესა და წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 12 აპრილი, №253

25 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 მაისის № 303 დადგენილებით დამტკიცებული დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 8 აპრილი, № 259

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 8 აპრილის № 259
დადგენილებით

დებულება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი კავშირის განხორციელების მიზნით და „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარმომადგენლების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 4 თებერვლის დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა.

2. მუდმივი წარმომადგენლობის საქმიანობას საფუძვლად უდევს ოპერატიული და უშუალო მონაწილეობა ყველა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომლებიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეაქვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის სამინისტროებში, უწყებებსა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებში.

3. აქედან გამომდინარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

ა) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაყენებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში, იმ შემთხვევებშიც, როცა მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობის დავალებით საკითხებს აღძრავენ უშუალოდ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების წინაშე, და წარადგინოს აღნიშნულ ორგანოთა მოთხოვნით საჭირო მასალები;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სს რესპუბლიკასთან დაკავშირებულ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტების, საქართველოს სს რესპუბლიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომისიების წინადადებათა შემუშავებასა და განხილვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით;

გ) მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, სსრ კავშირის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებში სახალხო-სამეურნეო გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმათა პროექტებისა და სხვა საკითხების განხილვაში, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკას ეხება;

დ) სისტემატურად აცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა პროექტებისა და სხვა ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკას ეხება, და რესპუბლიკის მთავრობის მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებში შეტანილი საკითხების გადაწყვეტის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების გადაწყვეტილებათა პროექტების გამო რესპუბლიკის შენიშვნების განხილვის შედეგები;

ე) კონტაქტები იქონიოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუდმივ წარმომადგენლობებთან და ყოველნაირად შეუწყოს ხელი იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურული კავშირურთიერთობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებთან;

ვ) მონაწილეობა მიიღოს გამოფენების, ჩვენებების, შემოქმედებითი საღამოების, მიღება-დარბაზობებისა და ლექციების ჩატარებასა და ორგანიზაციაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიღწევათა პოპულარიზაციის მიზნით;

ზ) თვალყური ადევნოს ქ. მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსგარეშე მისაღებად და მიზნობრივ ასპირანტურაში რესპუბლიკისათვის გამოყოფილი ადგილების გამოყენებას; კონტროლი გაუწიოს ქ. მოსკოვში მოსწავლე სტუდენტთა და ასპირანტთა აკადემიურ მოსწრებას და აღმოუჩინოს მათ საჭირო პრაქტიკული და მატერიალური დახმარება, თვალყური ადევნოს სწავლის კურსდამთავრებულ სპეციალისტთა გამოგზავნას საქართველოს სს რესპუბლიკაში სამუშაოდ;

თ) საჭირო დახმარება აღმოუჩინოს სამსახურებრივ დავალებათა შესრულებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით მივლინებულ მუშაკებს;

ი) განახორციელოს კონტროლი ქ. მოსკოვში არსებული საქართველოს სსრ ორგანიზაციების მუშაობისადმი;

კ) საჭირო შემთხვევებში ხელი შეუწყოს და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ქ. მოსკოვში ჩასულ საქართველოს სსრ მოქალაქეებს.

4. ამ დებულების მე-3 პუნქტში აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობას უფლება აქვს:

ა) უშუალო კონტაქტები დაამყაროს სსრ კავშირის ყველა ორგანოსთან საამისოდ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მხრივ განსაკუთრებული რწმუნების გარეშე;

ბ) მიიღოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან საჭირო მასალები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში განსახილველ საკითხებზე;

გ) მიიღოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან საჭირო საანგარიშგებო მონაცემები რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ;

დ) მიიღოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან ქ. მოსკოვში განლაგებულ შესაბამის ორგანიზაციებთან საწარმოების, ორგანიზაციებისა და სასწავლებლების სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის გეგმები;

ე) მიიღოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსაგან იმ სტუდენტთა და ასპირანტთა სიები, რომლებიც გაგზავნილი არიან კონკურსგარეშე მისაღებად მიზნობრივ ასპირანტურაში, ქ. მოსკოვში განლაგებულ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა უგზავნის მუდმივ წარმომადგენლობას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და უმნიშვნელოვანეს განკარგულებებს, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებში და ქ. მოსკოვში განლაგებულ სხვა ორგანოებში გასაგზავნი წარდგინებებისა და წერილების ასლებს, საჭირო მასალების თანდართვით.

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობას სათავეში უდგას მუდმივი წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუდმივ წარმომადგენელს ჰყავს მოადგილე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი:

ა) ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის საქმიანობას და პერსონალურად აგებს პასუხს მუდმივი წარმომადგენლობისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის;

ბ) წარმოადგენს მუდმივ წარმომადგენლობას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, საწარმოსა და ორგანიზაციაში მუდმივი წარმომადგენლობის კომპეტენციის ფარგლებში საამისოდ განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე და მონაწილეობს დადგენილი წესით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და კომისიების, სსრ კავშირის სამინის-

ტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების კოლეგიების სხდომებში, აგრეთვე მონაწილეობს საჭიროების კვალობაზე სსრ კავშირის ცენტრალური ორგანოების მიერ მოწვეულ თათბირებში;

გ) მუდმივი წარმომადგენლობის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე და შესასრულებლად;

დ) ახორციელებს დადგენილი წესით მუდმივი წარმომადგენლობის მუშაკთა მიღებას და დათხოვნას, ანაწილებს მოვალეობებს მის მუშაკთა შორის და უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის დაცვას მათ მიერ;

ე) უზრუნველყოფს კადრების შერჩევასა და განაწილებას მხოლოდ მათი პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით, იღებს ზომებს მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ანაწილებს მოვალეობებს პასუხისმგებელ მუშაკთა შორის ფუნქციების ზუსტად განსაზღვრის საფუძველზე;

ვ) არის კრედიტების განმკარგულებელი.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შენახვის ხარჯები გაიღება საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებიდან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის სტრუქტურას, რიცხოვნობასა და ხელფასის თვიურ ფონდს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის საშტატო განრიგს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა მუდმივად იმყოფება ქ. მოსკოვში.

11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება ქართულ და რუსულ ენებზე.

26 მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი 1976 წ. 17 აპრილი № 275

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 17 აპრილის № 275
დადგენილებით

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებას (სამმართველოს) ქმნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭო საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად და იგი თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოსა და მის აღმასკომს, ისევე შინაგან საქმეთა ზემდგომ ორგანოს.

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება (სამმართველო) შედის სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;

— თავიდან აიცილოს და აღკვეთოს დანაშაული და სხვა სამართალდარღვევები;

— დაიცვას სოციალისტური საკუთრება, მოქალაქეთა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უფლებანი და კანონით დაცული ინტერესები დანაშაულებრივი ხელყოფისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისაგან;

— სწრაფად და სრულად გამოავლინოს და გამოიძიოს დანაშაული;

— განახორციელოს საპასპორტო სისტემა;

— უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ცხოვრების რეჟიმის დაცვა;

— უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

— უზრუნველყოს რაიონის (ქალაქის) დასახლებული პუნქტებისა და სახალხო მეურნეობის ობიექტების სახანძრო უსაფრთხოება.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება (სამმართველო) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებე-

ბითა და განკარგულებებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) და ზემდგომი საბჭოების და მათი აღმასკომების გადაწყვეტილებებით, შინაგან საქმეთა ზემდგომი ორგანოების ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და ამ დებულებით.

4. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი უფასოდ აძლევს შინაგან საქმეთა განყოფილებას (სამმართველოს) შესაბამის სასამსახურო სადგომებს, ხოლო მილიციის უბნის ინსპექტორებს — სადგომებს სამსახურებრივი საქმიანობისათვის, რომლებიც აღჭურვილია ავეჯითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება (სამმართველო) ემყარება მშრომელთა ფართო მასების დახმარებასა და მხარდაჭერას და მისთვის დაკისრებულ ამოცანებს წყვეტს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციასთან, მშრომელთა კოლექტივებთან, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებთან, ნებაყოფლობით სახანძრო რაზმეულებთან და სხვა იმ თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში და შინაგან საქმეთა განყოფილებისათვის (სამმართველოსათვის) დაკისრებული სხვა ამოცანების შესრულებაში.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) საქმიანობაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული მართვისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის მოწინავე გამოცდილება, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება (სამმართველო) მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) ეწევა მუშაობას დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის, ავლენს დანაშაულთა და მართლწესრიგის სხვა დარღვევათა წარმომშობ მიზეზებს, აგრეთვე მათი ჩადენის ხელშემწყობ პირობებს და იღებს ზომებს ასეთი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად;

ბ) სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ეწევა ბრძოლას ლოთობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულთა ჩადენას; იღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც მთვრალი გამოდიან ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, რაც შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებასა და საზოგადოებრივ ზნეობას; აცნობებს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სპირტიანი სასმელების ბოროტად გამომყენებელ პირთა და ნარკომანთა შესახებ, იღებს მათ მიმართ პროფილაქტიკური ხასიათის სხვა ზომებს; აფორმებს და წარუდგენს სასამართლოებს მასალებს გამოუსწორებელი ლოთე-

ბის (ალკოჰოლიკების) და ნარკომანების შესახებ, მათი იძულებითი მკურნალობის საკითხის გადასაწყვეტად, და ასრულებს სასამართლოთა გადაწყვეტილებებს ამ საკითხებზე;

გ) ახორციელებს კანონის შესაბამისად ადმინისტრაციულ ზედამხედველობას თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული პირებისადმი, ეხმარება შრომითს და საყოფაცხოვრებო მოწყობაში თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირებს;

დ) ახორციელებს სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობას ბავშვთა უმეთვალყურეობის თავიდან ასაცილებლად და არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად;

ე) ეწევა მოსახლეობაში პროპაგანდას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის საკითხებზე;

ვ) იღებს დადგენილი წესით საჭირო ზომებს მოქალაქეთა განცხადებებისა და თანამდებობის პირთა ცნობების მიხედვით მოსალოდნელი ან ჩადენილი დანაშაულის შესახებ;

— იღებს საჭირო ზომებს ჩადენილ დანაშაულთა და საზოგადოებრივი წესრიგის სხვა დარღვევათა აღსაკვეთად, აგრეთვე ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო და კანონით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს დანაშაულთა და მათ ჩამდენ პირთა აღმოჩენის მიზნით;

— აღძრავს სისხლის სამართლის საქმეებს და ასრულებს გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებას დანაშაულთა კვალის დასადგენად და დასამაგრებლად; აწარმოებს კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში მოკვლევას სისხლის სამართლის საქმეთა გამო; უზრუნველყოფს წინასწარი გამოძიების წარმოებას იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომელთა გამოძიება კანონმდებლობით ეკისრებათ შინაგან საქმეთა ორგანოებს;

— დადგენილი წესით აწარმოებს ჩადენილ დანაშაულთა რეგისტრაციასა და აღრიცხვას;

ზ) უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ქუჩებში, მოედნებზე, პარკებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, მათ შორის სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებათა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელების დროს;

თ) სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო გარემოებათა დროს მონაწილეობს ადამიანებისა და ქონების გადარჩენაში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხელს უწყობს მოსახლეობის ჩაბმას, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეებს კუთვნილ სატრანსპორტო და სხვა საშუალებათა გამოყენებას სამაშველო და გადაუდებელი ავარიულ-აღდგენითი სამუშაოების განსახორციელებლად, უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების და უმეთვალყურეოდ დარჩენილი მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვას;

ი) ახორციელებს დადგენილი წესით ზედამხედველობას იმისადმი, რომ თანამდებობის პირნი და მოქალაქენი ასრულებდნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოთა გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე;

კ) ხელს უწყობს თავის უფლებამოსილებათა ფარგლებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატებსა და თანამდებობის პირებს თავიანთ მოვალეობათა შესრულებისას, თუ ცალკეული მოქალაქენი უარს ამბობენ დაემორჩილონ ამ პირთა კანონიერ მოთხოვნებს ან აბრკოლებენ მათს ნორმალურ მუშაობას;

ლ) ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად ზედამხედველობას რაიონის (ქალაქის) ქუჩების, ეზოებისა და სხვა ტერიტორიების, აგრეთვე მშრომელთა დასვენების ქალაქგარე ადგილებისა და პლაჟების მოვლის სანიტარიული წესების დაცვისადმი;

— ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვისა და ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებს ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების დროს საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელებაში;

— ხელს უწყობს საჭირო შემთხვევებში მედიცინის მუშაკებს ფსიქიკურად დაავადებულ იმ მოქალაქეთა დაუყოვნებლივ ჰოსპიტალიზაციაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარშემომყოფთ, აგრეთვე ნარკომანთა ჰოსპიტალიზაციაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

მ) ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს იმ პირთა დადგენაში, რომლებიც დაავადებული არიან განსაკუთრებით საშიში ინფექციური სნეულებით და თავს არიდებენ მკურნალობას;

ნ) იღებს ზომებს, რათა გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს სამართალდარღვევებისა და უბედური შემთხვევებისაგან დაზარალებულ, აგრეთვე საზოგადოებრივ ადგილებში უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს;

ო) ხელს უწყობს შესაბამის ორგანოებს ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის, გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დაცვის, ბრაკონიერობასთან და ნადირობისა და თევზჭერის წესების დარღვევებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელიბაში;

პ) ავლენს პირებს, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, და იღებს ამ პირთა მიმართ კანონით გათვალისწინებულ ზომებს, ახორციელებს კონტროლს ასეთ პირთა შრომითი მოწყობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი;

ჟ) ასრულებს სასამართლოთა განჩინებებსა და პროკურორთა და გამომძიებელთა დადგენილებებს იმ პირთა მოყვანის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ გამოცხადებას მათი გამოძახებით; ასრულებს პროკურორთა დადგენილებებს და პროკურორის მიერ სანქციონირებულ გამომძიებელთა დადგენილებებს, აგრეთვე სასამართლოთა განაჩენებს, განჩინებებსა და დადგენილებებს დატუსაღების შესახებ, იცავს და ბადრაგით მიჰყავს დაპატიმრებულნი და დაკავებულნი;

რ) ეძებს ბრალდებულებს, რომლებიც ემალებიან სასამართლოსა და გამოძიებას, მსჯავრდადებულებს, რომლებიც თავს არიდებენ განაჩენების აღსრულებას, უგზოუკვლოდ დაკარგულ პირებს, აგრეთვე დატაცებულ ქონებას; ახორციელებს სამოქალაქო საქმეებზე მოვალეთა და მოპასუხეთა ძებნას

დადგენილი წესით, აგრეთვე იმ პირთა ძებნას, რომლებიც თავს არიდებენ საყოველთაო სამხედრო ვალდებულებას, და სხვა პირთა ძებნას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ხელს უწყობს სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირს იმ პირთა ძებნაში, რომლებმაც დაკარგეს კავშირი თავიანთ ნათესავებთან;

ს) აძლევს სსრ კავშირის მოქალაქეებს პასპორტებს და აწარმოებს მათ ჩაწერასა და ამოწერას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; უზრუნველყოფს საპასპორტო სისტემის წესების დაცვას მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ; დადგენილი წესით ახორციელებს სამისამართო-საცნობარო მუშაობას და აძლევს მოქალაქეებს სასაზღვრო ზონაში შესვლისა და იქ ცხოვრების ნებართვას; ახორციელებს ზედამხედველობას იმისადმი, რომ უცხოელებმა და მოქალაქეობის არმქონე პირებმა დაიცვან მათთვის დაწესებული ცხოვრებისა და გადაადგილების წესები;

ტ) უზრუნველყოს დადგენილი წესით იარაღის, საბრძოლო მასალების, ასაფეთქებელი მასალების და სხვა საგნებისა და ნივთიერებების შეძენის, შენახვისა და გადატანის წესების დაცვას მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ნუსხის მიხედვით; კონტროლს უწევს სასროლი ტირებისა და სასროლეთების, პოლიგრაფიული, საშტემპელო-საგრავირო, საიარაღო-სარემონტო და პიროტექნიკური საწარმოების, ცეცხლსასროლი იარაღით მოვაჭრე მაღაზიების ფუნქციონირების წესების დაცვას;

— დადგენილი წესით გასცემს ნებართვას სამრავლებელი აპარატების შესაძენად და შესანახად, ბეჭდებისა და შტამპების დასამზადებლად;

უ) უზრუნველყოფს და ახორციელებს დადგენილი წესით საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და სხვა ობიექტების დაცვას; ინსპექტირებას უწევს საუწყებო დაცვას, იღებს ზომებს დაცვის საიმედოობის ასამაღლებლად და მისი ხარჯების შესამცირებლად, აგრეთვე დაცვის ტექნიკურ საშუალებათა საიმედო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად;

ფ) აწარმოებს საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, მოქალაქეთა კუთვნილი ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციასა და აღრიცხვას და ახორციელებს ზედამხედველობას მათი ტექნიკური მდგომარეობისადმი; უზრუნველყოფს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოებას, აგრეთვე ასრულებს სხვა მოვალეობებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით ეკისრებათ სახელმწიფო ავტოინსპექციის რაიონულ (საქალაქო) ორგანოებს;

ქ) ხელს უწყობს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში და სახელმწიფო უშიშროების დაცვის სხვა ღონისძიებათა განხორციელებაში;

ღ) ხელს უწყობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამხედრო კომისარიატებს სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ სამხედრო აღრიცხვის წესების დაცვისადმი კონტროლის განხორციელებაში და ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის ჩატარების ორგანიზაციაში;

ყ) უზრუნველყოფს განაჩენების აღსრულებას იმ პირთა მიმართ, რომლებსაც მისჯილი აქვთ გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღკვეთის გარეშე;

— ახორციელებს ზედამხედველობას თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან პირობით განთავისუფლებული პირებისადმი და თავისუფლების აღსაკვეთად პირობით მსჯავრდადებული პირებისადმი შრომაში სავალდებულო ჩაბმით; სისრულეში მოჰყავს დადგენილი წესით მიღებული დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციული დაპატიმრების ან განსაზღვრული ადგილიდან გასახლების შესახებ;

შ) ახორციელებს რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე ხანძრების თავიდან აცილების ღონისძიებებს;

— ახორციელებს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას შენობა-ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოთხოვნების შესრულებისადმი, ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკის საშუალებათა და ხანძარსაქრობ საშუალებათა, სახანძრო-დაცვითი სიგნალიზაციის დანერგვისათვის სახალხო მეურნეობის ობიექტებზე, აგრეთვე ახორციელებს სხვა ღონისძიებებს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის რაიონული (საქალაქო) ორგანოებისათვის განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების შესაბამისად:

ჩ) აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს იმ საკითხებზე, რომლებიც განყოფილების კომპეტენციას განეკუთვნება და იღებს მათ გამო საჭირო ზომებს.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება (სამმართველო), წყვეტს რა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, დამნაშავეობასთან ბრძოლის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს, თავის ღონისძიებებს ახმარს იმას, რომ თავიდან აიცილოს, გამოავლინოს და გამოიძიოს დანაშაული, შთაუნერგოს მოქალაქეებს პატივისცემა საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი, მზრუნველური დამოკიდებულება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონებისადმი. ამ მიზნით იგი აცნობებს მშრომელთა კოლექტივებს და საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ადმინისტრაციას ამ კოლექტივების წევრთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ, რათა მიიღონ ზომები გაგზავნილი ინფორმაციების გამო და შეატყობინონ ეს შინაგან საქმეთა განყოფილებას (სამმართველოს).

8. მილიცია, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) სხვა ქვეგანაყოფები სარგებლობენ შესაბამისი უფლებებით, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 18 ივნისის ბრძანებულებით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში საბჭოთა მილიციის ძირითად უფლება-მოვალეობათა შესახებ“, დებულებებით საბჭოთა მილიციის შესახებ, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის შესახებ და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) დაფინანსება, მისი სტრუქტურისა და შტატების დამტკიცება ხდება დადგენილი წესით.

10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება (სამმართველო) თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოსა და მის აღმასკომს, აგრეთვე მშრომელთა კრებებს საწარმოებში, დაწესებულებებში, სხვა ორგანიზაციებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

11. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსის თანამდებობაზე დამტკიცება და თანამდებობიდან განთავისუფლება ხდება საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსი, რომელიც ამავე დროს არის რაიონული (საქალაქო) მილიციის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს განყოფილების (სამმართველოს) საქმიანობას, უზრუნველყოფს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას, პირადად წარმართავს მაღალ პროფესიულ დონეზე ოპერატიულ-სამძებრო მუშაობას;

ბ) უზრუნველყოფს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვას განყოფილების (სამმართველოს) საქმიანობაში, აგრეთვე მისი პირადი შემადგენლობის სამსახურებრივი, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებისა და დისციპლინის მაღალ დონეს;

გ) შეაქვს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოსა და მისი აღმასკომის განსახილველად გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტები იმ საკითხებზე, რომლებიც განყოფილების (სამმართველოს) კომპეტენციას განეკუთვნება;

დ) ახორციელებს კონტროლს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოსა და მისი აღმასკომის, აგრეთვე ზემდგომ სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისადმი იმ საკითხებზე, რომლებიც განყოფილების (სამმართველოს) საქმიანობას განეკუთვნება, პასუხს აძლევს დადგენილ ვადებში დეპუტატთა შეკითხვებზე, განიხილავს რაიონული (საქალაქო) საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციებს, აცნობებს მათ განხილვის შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ; მონაწილეობს ან გზავნის განყოფილების (სამმართველოს) წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით რაიონული (საქალაქო) საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომაზე;

ე) აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას; უზრუნველყოფს მათს წინადადებებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხის დროულად და სწორად გაცემას;

ვ) გამოსცემს ბრძანებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) განსაზღვრავს თავის მოადგილეთა, სამსახურების ხელმძღვანელთა, აგრეთვე განყოფილების (სამმართველოს) სხვა მუშაკთა მოვალეობებს;

თ) აჯარიმებს და იღებს ადმინისტრაციული ზემოქმედების სხვა ზომებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) შინაგან საქმეთა ორგანოების დისციპლინური წესდების შესაბამისად იყენებს წახალისების ზომებს და დისციპლინურ სასჯელებს რიგითი და უფროსთა შემადგენლობის პირებზე, აგრეთვე აღძრავს ზემდგომი უფროსის წინაშე შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ გამოიყენოს წახალისების ზომები ან დაადოს დისციპლინური სასჯელი საგამომძიებლო აპარატის მუშაკებს და განყოფილების (სამმართველოს) რიგითი და უფროსთა შემადგენლობის სხვა პირებს;

კ) წაახალისებს მოქალაქეებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში და დამნაშავეობასთან ბრძოლაში;

— შუამდგომლობს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის, შინაგან საქმეთა ზემდგომი ორგანოს, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელების წინაშე იმის შესახებ, რომ წაახალისონ სახალხო რაზმელები და ცალკეული მოქალაქეები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დამნაშავეობასთან ბრძოლაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ან ხანძრის ჩაქრობაში;

ლ) უზრუნველყოფს სატრანსპორტო, ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებების, აგრეთვე ფულადი სახსრების სწორად გამოყენებას, წარმართავს განყოფილების (სამმართველოს) ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობას;

მ) იღებს ზომებს განყოფილების (სამმართველოს) თანამშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

13. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება (სამმართველო) არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

---

27 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ი. ჯანელიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შუამდგომლობა და მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ალექსანდრე ილარიონის ძე ჯანელიძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 17 აპრილი, № 276

28 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტისათვის აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შუამდგომლობა და მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტს აკადემიკოს ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 17 აპრილი, № 277

29 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლოს წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„150. სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 21 აპრილი, № 294

30 საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელის დამტკიცების წესის შესახებ

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელს ამტკიცებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 21 აპრილი, № 296

31 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 12 მარტის № 173 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 12 მარტის № 153 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 11 მარტის № 337 დადგენილება „წვრილი ყალიბის იარაღის გაყიდვის წესის შესახებ“ (საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1938 წ. № 8, მუხ. 35);

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 31 დეკემბრის № 1779 დადგენილება „საქართველოს სსრ წყალსავალი ტრანსპორტის განვითარებისა და წყალსავალ გზებზე ადამიანთა სიცოცხლის დაცვის დამხმარე საზოგადოებათა კავშირის ლიკვიდაციის შესახებ“;

გ) მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის № 103 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ბეწვეულსარეწის და ნადირთმომშენებლობის შემდგომი განვითარების ზომებისა და ბეწვეულის და ქურქნედლეულის დამზადების გადიდების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 12 მარტის № 173 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 23 მაისის № 2430 დადგენილებისა „ფეთქებადი მასალების შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 ივნისის № 770 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 21 აპრილი, № 297

32 მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი მწერლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ შექმნას კ. გამსახურდიას მემორიალური მუზეუმი მწერლის სახლში ქალაქ თბილისის გალის ქუჩაზე.

2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიანიჭოს კ. გამსახურდიას სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

3. მიენიჭოს კ. გამსახურდიას სახელი სოფელ ძველი აბაშის საშუალო სკოლას, სადაც სწავლობდა მწერალი.

4. დაწესდეს კ. გამსახურდიას სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საერთო სასტიპენდიო ფონდიდან.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ წარმოადგინონ წინადადებანი კ. გამსახურდიას მემორიალური მუზეუმის საშტატო რიცხოვნობისა და შენახვის ხარჯების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 28 აპრილი, № 317.

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 за 1976 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IX-76 წ. ქაღალდის ფორმატი 70X108 1/16
საბეჭდი თაბახი 2,5, სააღრიცხვო თაბახი 2,5

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა № 641 УЕ 04337 ტირაჟი 1950

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

b 179/130